

## COVID-19-ის ეკონომიკური გავლენა საქართველოს სოფლის ეკონომიკაზე

COVID-19 იწვევს ეკონომიკის მხრივ მასშტაბურ უარყოფით ცვლილებებს როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია მოსაზრებები, თუ რა სახის გავლენაა მოსალოდნელი სასოფლო ტერიტორიებზე და ამ მხრივ შესაძლო პოლიტიკური პასუხი. დოკუმენტის მიხედვით კრიზის მოკლევადიანი გავლენები მოთხოვნაზე, მიწოდებაზე და საკურსო განაკვეთებზე გამოყოფილი უნდა იყოს გრძელვადიანი გავლენებისგან. იგი აჩვენებს, რომ მწიფდება კონსენსუსი, რომ კრიზისის ეკონომიკური გავლენა იქნება არა მოკლევადიანი, არამედ ეკონომიკას მოუწევს ფუნქციონირება მძიმე მოვლენების ფონზე 2021 წლის ბოლომდე. ამ დოკუმენტის მიხედვით სოფლის მეურნეობაზე გავლენა არ იქნება ძალიან ძლიერი მაშინ, როდესაც სერვისებზე გავლენა მნიშვნელოვნად მძიმე იქნება. დაბოლოს, შემოთავაზებული გარკვეული ვარიანტები იმ პოლიტიკისა, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული შედეგების შესარბილებლად.

### რა დაემართება ეკონომიკას?

ეკონომისტები განარჩევენ ეკონომიკაზე გავლენის სამ მთავარ დონეს:

1. **მოკლევადიანი შოკი და სწრაფი გაუმჯობესება** რომელთა პირობებში ეკონომიკა დაუბრუნდება მის ვირუსამდელ მდგომარეობას და ეკონომიკური წარმოების მოცულობა არ დაიკარგება (ე.წ. “V-ფორმის რეცესია”).
2. **უფრო გრძელვადიანი და უფრო მძიმე რეცესია** რომელსაც მოჰყვება საბოლოოდ აღდგენა, თუმცა რომლის დროს ვერ მოხერხდება წარმოების მოცულობის კომპენსირება (ე.წ. “U-ფორმის რეცესია”).
3. **გრძელვადიანი შოკი და დამაზიანებელი გრძელვადიანი გავლენა**, რომელსაც მოჰყვება რეცესია და შემდგომ ეკონომიკური ზრდის შემცირება შოკის გარეშე სცენართან შედარებით (ე.წ. “L-ფორმის რეცესია”). მრავალი საწარმო შეწყვეტს ოპერირებას და ხალხი დაკარგავს სამუშაო ადგილებს.

დიდი ალბათობით რეცესია ვერ იქნება თავიდან აცილებული, რამდენიმე ფაქტორით, რომლებსაც მოაქვთ ეკონომიკური ზიანი:

1. **მოთხოვნა**: ხალხი რჩება სახლში დაავადების, სოციალური დისტანცირებისა და კარანტინის გამო და შესაბამისად ხარჯავს ნაკლებს. მომსახურების სექტორი განსაკუთრებულად დაზარალდება, რადგან მთავრობა აფრთხილებს ხალხს დარჩეს სახლში ან აიძულებს შეაჩეროს საქმიანობა.
2. **მიწოდება**: ბიზნესები ამცირებენ წარმოებას დაბალი მოთხოვნიდან გამომდინარე ან რადგან მუშახელი ბიულეტენზე ან კარანტინზეა. საწარმოების ფინანსები ასევე ზარალდება, რადგან შემოსავლები მცირდება, მაგრამ ფიქსირებული ხარჯები რჩება უცვლელი. ზოგიერთი ბიზნესი ზრდის მიწოდებას, რადგან მოთხოვნა კრიზისთან დაკავშირებულ პროდუქტებზე იზრდება – ხელის სანიტარული პროდუქცია, სახის ნიღბები და ზოგიერთი ფარმაცევტული საშუალებები.
3. **გაურკვეველობა**: ინვესტირებაზე გადაწყვეტილებების მიღება რთულდება, რადგან მცირდება სამომხმარებლო ნდობა, არის ნეგატიური მოლოდინები და გაურკვეველია კრიზისის ხანგრძლივობა.
4. **სავალუტო კურსის განაკვეთი**: ეპიდემიის მიმდინარეობის გაუარესება, უფრო დაბალი ფულადი გზავნილები, შემცირებული ვაჭრობა საქონელისა და მომსახურებების, ინვესტირებისა და მომხმარებლის ნდობის შემცირებას მიჰყავს კაპიტალის

გადინებამდე და ცვლილებისადმი სავალუტო კურსის განაკვეთებში, რაც ახდენს გავლენას ვაჭრობაზე.

5. **ფინანსური მდგომარეობა:** ხალხი კარგავს სამუშაო ადგილებს ან გადის ბიულეტენზე მათი ჩვეულ ხელფასზე ნაკლები ანაზღაურებით. ბიზნესები კოტრდება ან მნიშვნელოვნად მცირდება მათი მოგება. მათ ვისაც აქვთ იპოთეკა და ქირა, არ არიან დარწმუნებულნი რომ შეძლებენ გადახდების გაგრძელებას, რასაც თან დაერთვება გადასახადების გადახდა მაშინ, როდესაც შემოსავლები მცირდება. იმ შემთხვევებში, როდესაც სესხი უცხოურ ვალუტაშია, რაც ხშირად ხდება საქართველოში, სავალუტო კურსის ცვლილებები ასევე ახდენენ გავლენას საოჯახო მეურნეობებისა და ბიზნესების გადახდისუნარიანობაზე.
6. **სამუშაო ძალა:** დაავადება და სიკვდილობა გავლენას ახდენს წარმოებულობაზე და მუშახელის რაოდენობის შემცირებაზე.

აღნიშნულ მოკლევადიან ეფექტებთან ერთად, ამჟამინდელის მსგავს კრიზისს შესაძლოა ჰქონდეს **სტრუქტურული სახის გავლენა** შრომის ბაზარზე და ეკონომიკაზე, რომელიც ჩამოყალიბდება გრძელვადიან პერსპექტივაში.

7. **ცვლილებები ბიზნესების ოპერირებაში:** კრიზისის უხსნის შესაძლებლობებს ინოვაციურ ან უკეთ ადაპტირებულ სექტორებს და ბიზნეს მოდელებს მათი ღირებულების დასამტკიცებლად: მაგ. **სახლიდან მუშაობა, ელექტრონული-მუშაობა, ელექტრონული სწავლება, ონლაინ გაყიდვები და საკვების მიწოდების სერვისები** შეიძლება გაიზარდოს, ნაწილობრივ ამჟამად არსებული მოდელების ჩანაცვლების გზით. გარკვეულმა ბიზნესებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ უფრო დივერსიფიცირებული მეთოდები და მექანიზმები მათ უკეთესად დაახლოვებს მომავალში დაავადებების მსგავსი აფეთქებებისაგან და ამგვარად ჩანაცვლებს ადამიანური რესურსების კაპიტალს.
8. **ცვლილებები მიწოდების ჯაჭვში:** COVID-19 კრიზისამდეც კი, გლობალური მიწოდების ჯაჭვის ნაწილები უკან იქნა დაბრუნებული პირველადი ქვეყნის ან მინიმუმ რეგიონის მიერ (“რეპატრიაცია”). რადგან ბიზნეს სუბიექტები აცნობიერებენ გარე მომწოდებლებზე დამოკიდებულების ხარჯს, მათ ასევე შეუძლიათ უფრო მეტად დაეყრდნონ ადგილობრივ მომწოდებლებზე მინიმუმ იმ ნაწილში, რომელიც აუცილებელია წარმოებისათვის.

### **რა ტიპის რეცესია არის მოსალოდნელი?**

არსებობს ზოგადი თანხმობა იმის თაობაზე, რომ გლობალური რეცესია გარდაუვალია<sup>1</sup>. ზოგიერთი ასევე იძლევა გაფრთხილებას, რომ გრძელვადიანი რეცესიას მოჰყვება განგრძობადი სტრუქტურული გავლენა. ჟურნალი *ეკონომისტი* ვარაუდობს, რომ ჩინეთის გარეთ არსებული კომპანიების მეოთხედი გაკოტრდება, თუ COVID-19-ით გამოწვეული ვადნა გაგრძელდა ექვს თვემდე<sup>2</sup>. ამას შემდგომ შეუძლია გამოიწვიოს საბანკო კრიზისი.

**საქართველო, როგორც მცირე, ღია ეკონომიკა ვერ შეძლება დაეყრდნოს ადგილობრივ მოხმარებას ეკონომიკის ვარდნის თავიდან ასაცილებლად.** TBC ბანკი ვარაუდობს, რომ საქართველოს სუფთა დანაკარგი შეადგენს 450 მლნ აშშ დოლარს ტურიზმში, საქონლის

<sup>1</sup> მაგ., გერმანიის წამყვანი რობერტ კოხის ინსტიტუტი იძლევა გაფრთხილებას რომ საგანგებო სიტუაცია შეიძლება 2 წელი გაგრძელდეს ყველა თანამდევ ეკონომიკური შედეგით. ლონდონის საიმპერიო კოლეჯი არსებული ჯანდაცვის სისტემის შეზღუდვების გათვალისწინებით ვარაუდობს ნახევარ მლნ სიკვდილის შემთხვევას გაერთიანებულ სამეფოში ზაფხულის დასასრულამდე, თუ არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები ან 2012 წლის Q1-მდე მკაცრი სოციალური დისტანცირების გატარების შემთხვევაში (<https://www.imperial.ac.uk/news/196234/covid19-imperial-researchers-model-likely-impact/>).

<sup>2</sup> <https://www.economist.com/finance-and-economics/2020/03/12/corporate-bonds-and-loans-are-at-the-centre-of-a-new-financial-scare>

ექსპორტში, ფულად გზავნილებში, პირდაპირ ინვესტიციებსა და იმპორტში მოკლევადიანი რეცესიის შემთხვევაში. გახანგრძლივებული გლობალური რეცესიის შემთხვევაში ბანკი ვარაუდობს ეკონომიკის აღდგენის დაწყებას არაუადრეს 2020 წლის ბოლო კვარტლიდან და ეროვნული ვალუტის ლარის მკვეთრ გაუფასურებას (შემდგომ კვლავ აღდგენას).<sup>3</sup>

წინა პანდემიები გვაწვდის ეკონომიკური ზიანის განაწილების მაგალითებს: დაახლოებით მესამედი მოხდა კარანტინის, დახურვების და გარდაცვალებების გამო მაშინ, როდესაც სხვა ნაწილში ზიანი უფრო გრძელვადიანი ცვლილებები ხდება მომხმარებელთა მხრიდან ნდობის ცვლილების, ბიზნეს ქცევისა და ფინანსურ ბაზრებზე გავლენის გამო.<sup>4</sup> ყველაზე კონსერვატიული შეფასებებით, გამოცხადებული ყველა დამატებითი ფისკალური სტიმული დღემდე აღწევს გლობალური მშპ-ს 2%-მდე,<sup>5</sup> და 20%-ზე მეტს მონეტარული სტიმულის სახით.<sup>6</sup> ევროპის საინვესტიციო ბანკის შეფასებით დაახლოებით ათწლეული იქნება საჭირო, რათა მოხდეს დაბრუნება ვირუსამდელ მშპ და დავალიანების დონეებს. ეს გვაწვდის მკაცრ ზღვარს COVID-19-ის ზიანის შესახებ.

### რა შეიძლება მოხდეს საქართველოში სოფლად?

საქართველოს ქალაქის მოსახლეობა სავარაუდოდ აჩვენებს ინფიცირების ყველაზე მაღალ დონეს გამომდინარე იქიდან, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობა ცხოვრობს, მუშაობს და ახდენს სოციალიზაციას უფრო მჭიდროდ, რაც ნიშნავს, რომ გადაცემა უფრო მნიშვნელოვანი იქნება. მაგრამ მოგზაურობა ქალაქებსა და სოფლებს შორის გულისხმობს გადაცემას სოფლად მცხოვრები მოსახლეობაში. აღნიშნული შეიძლება მოხდეს ტურიზმის გამო, აღსანიშნავია, რომ შიდა ტურიზმის დაახლოებით 30% წილი უჭირავს მეგობრებისა და ოჯახის მონახულებას. ასევე, ეპიდემიის ეპიცენტრები როგორც ავსტრიაში, ისე გერმანიაში მცირე ქალაქებია (იშგლი 1,600 და განგელტი 11,600 მცხოვრებით), გამოწვეული ტურიზმით (იშგლი) და ერთი სოციალური ღონისძიებით (განგელტი).

ნაკლები ხარისხის ჯანდაცვის სერვისები სოფლად და მოსახლეობის ხანდაზმული ასაკი ნიშნავს ავადობის მეტ სიმძიმეს, მეტ მიმართვიანობას სავადმყოფოებში და სიკვდილობის სავარაუდოდ მეტ მაჩვენებელს სოფლად.<sup>7</sup> მედიკამენტებისადმი წვდომა შესაძლოა უფრო გართულებული იყოს სოფლად.

შემოსავლების დაკარგვა განსაკუთრებით მძიმე დარტყმას მიაყენებს სოფლის მაცხოვრებლებს: დაახლოებით 60% აქვს 500 ლარზე დაბალი შემოსავალი ერთ შინამაურნეობაზე; 40% არ აქვს საკმარისი დანაზოგები ინვესტიციების განსახორციელებლად. საშუალოდ, შემოსავლის 25%-ზე შეიძლება მოხდეს უარყოფითი გავლენა, მკვეთრი ვარიაციით შინამაურნეობებს შორის: კერძო სექტორში დასაქმებულთა 50%-ზე მეტი იღებს შემოსავლის მინიმუმ 80% დასაქმების წყაროდან. კრიზისამდე,

<sup>3</sup> <https://www.tbcresearch.ge/en/Research/Download?ResearchId=283&Type=PDF>

<sup>4</sup> <https://blogs.imf.org/2020/03/04/potential-impact-of-the-coronavirus-epidemic-what-we-know-and-what-we-can-do/>

<sup>5</sup> <https://www.economist.com/briefing/2020/03/19/governments-are-spending-big-to-keep-the-world-economy-from-getting-dangerously-sick?frsc=dg%7Ce>

<sup>6</sup> <https://www.economist.com/leaders/2020/03/19/how-to-prevent-a-covid-19-slump-and-protect-the-recovery?frsc=dg%7Ce>

<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ 150 სასუნთქ აპარატია ხელმისაწვდომი საქართველოში, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთია ხელმისაწვდომი ყოველ 25.000 მოქალაქეზე, ანუ საშუალოდ ერთი თითოეულ მუნიციპალიტეტზე (შენიშვნა: საქართველომ შეიძინა 500 დამატებითი სასუნთქი კერძო მომწოდებლებისაგან, რითაც თანაფარდობა გაუმჯობესდა და ამჟამად შეადგენს ერთ სასუნთქ აპარატს ყოველ 6.000 ადამიანზე).

არაფერმერული ბიზნესების დაახლოებით 11% უკვე აფასებდა საკუთარ მდგომარეობას, როგორც ცუდს და იგივე პროცენტი მოელოდა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.<sup>8</sup>

#### სოფლის მეურნეობა და აგროწარმოება

**სოფლის მეურნეობა** -სავარაუდოდ ნაკლებად დაზარალდება სხვა სექტორებთან შედარებით, რადგან საკვებზე მოთხოვნა სავარაუდოდ დიდად არ შეიცვლება.<sup>9</sup> მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქციაზე შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს კიდევ, თუ იმპორტი შეფერხდა. სოფლად ბევრ დაუსაქმებელს ან ნაწილობრივ დასაქმებულს შეუძლია ჩაანაცვლოს სოფლის მუშახელი მისი ავადობის ან სიკვდილობიდან გამომდინარე. ამასთან, ყველა ფერმერი საკუთარი ნაკვეთის კულტივირებას ტრადიციულად საკუთარი ოჯახის მეშვეობით ახდენს. გავლენა ასევე შეიძლება მოხდეს, თუ ავადობის, მკაცრი კარანტინის, ან ბიზნესების დახურვის გამო პროდუქტი ვერ მოხდება ბაზარზე, თუმცა არსებული მოკლე მიწოდების ჯაჭვები ნიშნავს, რომ აღნიშნულის რისკი დაბალია. თუმცა ექსპორტზე-ორიენტირებული მრეწველობის სახეობები, როგორიცაა ღვინის წარმოება შეიძლება დაზარალდეს.<sup>10</sup>

**სოფლის მრეწველობის** მიწოდების ჯაჭვში არსებულ სირთულეებს (კერძოდ, დაგვიანებები და დროებითი დეფიციტი) შეუძლიათ უფრო მეტად მოახდინონ ამ სექტორზე უარყოფითი გავლენა, ვიდრე სხვა სექტორებზე მალფუჭებადობისა და სეზონურობის გამო. მუშახელის ნაკლებობამ და უნარების დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს შრომითი რესურსების ნაკლებობა და ცოდნის, უნარების დაკარგვა და დროებით დაზარალოს წარმოება. ბევრი მცირე კომპანია (განსაკუთრებით სოფლად) შეიძლება სესხის გადახდის პრობლემის წინაშე დადგეს, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს გაკოტრება და დახურვა.

#### მომსახურების სექტორი

საქართველოს მომსახურების სექტორი ქმნის მშპ-ის 60% და ასაქმებს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 44%.<sup>11</sup> 2018 წელს მოქმედი ახალი კომპანიების უმეტესობა ოპერირებდა საბითუმო და საცალო სექტორში, ასევე მანქანებისა და მოტოციკლების შეკეთების სფეროში. სოფლის მეურნეობის გარდა **სოფლად, ძირითადად მომსახურების ნაწილი დომინირებს** და, მაგალითად, ევროკავშირის სოფლის დახმარების მიმღები 8 მუნიციპალიტეტში არაფერმერულ სექტორში კომპანიების უმეტესობა ოპერირებს ვაჭრობის (49%), ტრანსპორტის (18%) და სასტუმრო-სარესტორნო სფეროში (7%).<sup>12</sup>

აღნიშნული მნიშვნელოვანია რადგან მოსალოდნელია, რომ **მომსახურების სფერო** ყველაზე მძიმე დარტყმის ქვეშ მოექცევა. მომსახურებები მოიცავს ყველაზე მეტ კონტაქტს ადამიანებს შორის და ამგვარად სოციალური დისტანცირება და იძულებითი დახურვა მასზე ყველაზე მეტად ზიანს მას მიაყენებს. მომსახურების სექტორი მრავალფეროვანია და გარკვეულ ნაწილებში უფრო მეტ დარტყმას განიცდის სხვებთან შედარებით. ტურიზმი, სარესტორნო და გასართობი, შემოქმედებითი ინდუსტრია, და არასასურსათო საცალო წერტილები დაზიანდება მძიმედ.

<sup>8</sup> ორი მსხვილი რანდომიზებული კვლევის შედეგები, რომლებიც იქნა ჩატარებული UNDP/IRDG (სოფლის გაუმჯობესება საქართველოში) 2018 წლის ბოლოს ENPARD-ის სამიზნე 8 მუნიციპალიტეტში: ქედა, ხულო, ბორჯომი, ახალქალაქი, ყაზბეგი, თეთრიწყარო, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო.

<sup>9</sup> თუმცა აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის გამოცდილება აჩვენებს, რომ კრიზისის დროს, საბოლოო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარება კრიზის პერიოდში იკლებს, (<https://nff.org.au/media-release/farm-sector-braces-for-coronavirus-impact/>).

<sup>10</sup> <https://www.tbcresearch.ge/en/Research/Download?ResearchId=283&Type=PDF>

<sup>11</sup> მსოფლიო ბანკის მონაცემები: 2018 წლის მშპ-ს, 2019 დასაქმებაზე

<sup>12</sup> იხილეთ მანამდე აღნიშნული IRDG კვლევა.

**ტურიზმის და სამასპინძლო სექტორი** პირველ და ყველაზე მძიმე დარტყმას იღებს, რადგან საზღვრები დაკეტილია და მთავრობები ურჩევენ და ავალდებულებენ საკუთარ მოქალაქეებს დარჩნენ სახლში და არ გავიდნენ გასართობად. საქართველოში არსებული სასტუმროები, რომელთა გამოკითხვა მოხდა თიბისი-ს მიერ ჰქონდათ 50-60% ნაკლები ჯავშნები მარტსა და აპრილში და რესტორნებში აღინიშნება მთლიანი შემოსავლის მკვეთრი დაცემა.<sup>13</sup> აღნიშნული მსგავსია დასავლური გამოცდილებას, სადაც რესტორნების ჯავშნები შემცირდა 82% (გაერთიანებული სამეფო), 90% (გერმანია), და 94% (კანადა).<sup>14</sup> საქართველოში, 2020 წელს შემოსავლები ტურიზმიდან უკვე დაეცა 25%-ით წლიდან წლიური მაჩვენებლიდან გამომდინარე და შესაძლოა შემცირდეს 50%-მდე რეცესიის გახანგრძლივების შემთხვევაში.<sup>15</sup>

დაკავშირებული მომსახურების სახეობები, მათგან მრავალი არარეგისტრირებული ასევე დაზიანდება (მაგ. ტაქსი, გიდების, სამოგზაურო სააგენტოების მომსახურება, ვალუტის გადამცვლელები, დამლაგებლები და გარე მომსახურების სახეობები, როგორიცაა სამრეცხაო მომსახურება). დაიკარგება შემოსავლები; სამუშაო ადგილები; და სესხების მქონე ბიზნესები დაზარალდება. გავლენა შეიძლება დიდი იყოს: სოფლად არსებული სასტუმროები და რესტორნები ასაქმებენ საშუალოდ 5 ადამიანს, მათგან ორ მესამედს ქალები შეადგენენ. ამ სამუშაო ადგილების უმეტესობა სრულ განაკვეთიანია (82%) და მუდმივი (73%). იქნება აშკარა უარყოფითი გავლენა მოთხოვნაზე, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს იმ ბიზნესებზე, რომლებიც პირდაპირ არ ზარალდებიან.

**ვაჭრობა და ხაგრძლივი გამოყენების სამომხმარებლო საქონლისა და ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ტექსტილის წარმოებაზე** უარყოფითი გავლენა მოხდება, რადგან შესყიდვები გადავადდება. აღნიშნული ეფექტები სავარაუდოდ იქნება დროებითი და მოხდება აღდგენა კრიზისის დასასრულისთანავე. **მშენებლობის სფერო** დაზარალდება, რადგან ხალხი ირჩევს ფულის დარეზერვებას უარესის მოლოდინში.<sup>16</sup> ვაჭრობა სასურსათო მაღაზიებში და სხვა პირველი საჭიროების საქონელით ასევე დაზარალდება, თუმცა ასევე შესყიდვის ქცევა შეიცვლება, კერძოდ, ხალხი მეტს შეიძენს და უფრო იშვიათად.

**წარმოების სექტორი** სოფლად ნაკლები მნიშვნელობის მქონეა. მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საქართველოს ქალაქებში (როგორებიცაა ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ა.შ.).

**სამუშაო ადგილები საჯარო სექტორში** ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაზარალდეს. ეს არის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლად სხვადასხვა დონის ადგილობრივი მთავრობის, სასწავლო და ჯანდაცვის დაწესებულებებში. თუ სკოლები დაიხურება, ნაკლებსავარაუდოა, რომ მასწავლებლები შემცირდება. სახელმწიფო და ჯანდაცვის სერვისები განაგრძობს ფუნქციონირებას.

**ფულადი გზავნილები**, რომლებიც სოფლის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, შეიძლება დიდწილად დაეცეს, თუ გამომგზავნი ხალხი როგორც უცხოეთში, ისე ქვეყნის შიგნით დაკარგავს სამუშაოს.

**რა პოლიტიკა უნდა გატარდეს საპასუხოდ: სოფლის ეკონომიკის დაცვა**

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ისტორიული პრეცედენტები, დღევანდელი ინტეგრირებული და გლობალიზებული ეკონომიკა იძლევა საშუალებას მხოლოდ

<sup>13</sup> <https://www.tbcresearch.ge/en/Research/Download?ResearchId=283&Type=PDF>

<sup>14</sup> <https://www.bbc.com/news/business-51706225>

<sup>15</sup> <https://www.tbcresearch.ge/en/Research/Download?ResearchId=283&Type=PDF>

<sup>16</sup> <https://www.tbcresearch.ge/en/Research/Download?ResearchId=283&Type=PDF>

ნაწილობრივ იქნას შედარებული წინა მიღებულ ზომებთან. სიტუაცია ასევე უჩვეულოა გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობას მცირე შესაძლებლობა აქვს დამატებით შეამციროს განაკვეთები ეკონომიკის სტიმულირებისთვის, რადგან საპროცენტო განაკვეთები ისედაც ისტორიულ მინიმუმზეა. ამასთანავე, 9% რეფინანსირების განაკვეთით, საქართველოს შეიძლება ჰქონდეს ცოტა მეტი ფისკალური სივრცე სხვებთან შედარებით.

არსებობს კონსენსუსი, რომ საჭიროა დროული, გადამწყვეტი და კოორდინირებული მოქმედებები ჯანდაცვის ორგანოების, ცენტრალური ბანკების, ფისკალური, მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანოების მხრიდან ვირუსის შესაკავებლად და პანდემიის ეკონომიკური გავლენის შესამცირებლად.<sup>17</sup> გლობალური ფინანსური კრიზისისა და მოგვიანებით ევრო-კრიზისის ერთ – ერთი გაკვეთილი იყო ის, რომ აუცილებელია ბაზრებისა და საოჯახო მეურნეობების დარწმუნება იმაში, რომ პოლიტიკის შემმუშავებლები სერიოზულად ეკიდებიან ვარდნას, არის მნიშვნელოვანი.<sup>18</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდი ხაზს უსვამს, რომ გამოყენებულ უნდა იქნას მონეტარული და ფისკალური ინსტრუმენტები: ცენტრალურმა ბანკებმა ხელი უნდა შეუწყონ ნდობისა და ლიკვიდობის შენარჩუნებას, ხოლო მთავრობები დაეხმარონ დაზარალებულ ბიზნესებსა და საოჯახო მეურნეობებს, მათ შორის არაფორმალურ სექტორს.<sup>19</sup>

მოცემულ რეზიუმეში ყურადღება გამახვილებულია ფისკალურ ზომებზე და დაშვებულია, რომ კრიზისი იქნება ხანმოკლე. თუ კრიზისი უფრო მეტხანს გასტანს, შემოთავაზებული ზომებით არამდგრადად გამოყენებული იქნება რესურსები, რაც აუცილებელი გახდება აღდგენის ძალისხმევისათვის.

თუ სხვა ქვეყნების COVID-19 ინფექციის მიმდინარეობის ტრაექტორია წარმოადგენს რამე სახელმძღვანელოს საქართველოსთვის, ყოველდღიური 20%-დან 33%-მდე ზრდა შეიძლება მოსალოდნელი იყოს მინიმუმ კვირების განმავლობაში, მას შემდეგ რაც 100 დადასტურებული შემთხვევა ექნება საქართველოს.<sup>20</sup> რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, რომელიც შეიძლება დაახლოებით 20-30 დღით უსწრებდეს საქართველოს შემთხვევების რაოდენობის თვალსაზრისით, ნავარაუდევია რომ მუშახელის ერთდროულად 20% ვერ გამოცხადდება სამუშაოზე, რაც გამოიწვევს ერთდროულ შოკს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მხრივ.<sup>21</sup> ზოგი ქვეყანა მიდის დასკვნამდე, რომ მოთხოვნის სტიმულირება პრიორიტეტულია. ამან შეიძლება გამოიწვიოს ინფლაცია, თუ ფირმები ვერ შეძლებენ საკმარისის მოცულობით პროდუქციის წარმოებას, რადგან ხალხი არის ავად ან იმყოფება კარანტინში. და რადგან ვაჭრობისა და სხვა მომსახურების სახეები დახურულია, შესაძლოა ადამიანებმა ვერ შეძლონ ფულის დახარჯვა.<sup>22</sup>

#### არაფორმალური სექტორი

ევროპაში გამოყენებული მიდგომების საქართველოში გამოყენებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა საქართველოსთან შედარებით არის ჩრდილოვანი ეკონომიკა. იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაანგარიშებული "ჩრდილოვანი" ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკის 10% - 53% არაფორმალური არის,<sup>23</sup> არაპროპორციულად გავლენას ახდენს ქალებზე.<sup>24</sup> „სოფლის

<sup>17</sup> <https://www.imf.org/en/Publications/Policy-Papers/Issues/2020/03/16/Policy-Steps-to-Address-the-Corona-Crisis-49262>

<sup>18</sup> <https://www.economist.com/briefing/2020/03/19/governments-are-spending-big-to-keep-the-world-economy-from-getting-dangerously-sick?frsc=dg%7Ce>

<sup>19</sup> <https://www.imf.org/en/Publications/Policy-Papers/Issues/2020/03/16/Policy-Steps-to-Address-the-Corona-Crisis-49262>

<sup>20</sup> <https://www.ft.com/coronavirus-latest>. Note that Japan, Hong Kong, Singapore and South Korea are notable exceptions.

<sup>21</sup> <https://www.economist.com/britain/2020/03/12/anti-covid-19-measures-mask-a-shift-in-britains-budget-strategy>

<sup>22</sup> <https://www.theguardian.com/business/2020/mar/17/how-best-to-fight-the-economic-impact-of-the-coronavirus-pandemic>

<sup>23</sup> <https://forbes.ge/news/3597/Georgia-One-of-the-Largest-Shadow-Economies>

<sup>24</sup> <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/12/womens-economic-inactivity-and-engagement-in-the-informal-sector-in-georgia>

გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტის 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში, ბიზნესის დაახლოებით 50% არ არის რეგისტრირებული.<sup>25</sup> რადგან, როგორც წესი, დახმარებას უწევენ მხოლოდ რეგისტრირებულ ფირმებს, ამიტომ მათ შეიძლება დახმარება დაუყოვნებლივ ვერ მიიღონ.

გზები, რომლის საშუალებითაც სოფლის მეწარმეები უმკლავდებიან რისკებს, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს ზრდის შემაფერხებელ გარემოებებს, სთავაზობენ სასარგებლო დაცვას სიღარიბის წინააღმდეგ. სოფლის მეწარმეების დაახლოებით 60% -ს აქვს მეორე სამუშაო ან ბიზნესი.<sup>26</sup> მაგალითად, სოფელში საოჯახო სასტუმროების უმრავლესობა არ არის რეგისტრირებული და პარალელურად ფუნქციონირებენ. ეს მეორე საქმიანობა, რომელიც მოქმედებს როგორც დამცავი საშუალება, შესაძლოა ღირებული იქნება ახლა.

რთული იქნება იმ შემთხვევების გამოვლენა, სადაც საჭროა დახმარება. რადგან არ არსებობს საიმედო მონაცემები იმის შესახებ, თუ ვინ მუშაობს არაფორმალურ სექტორში და რა სახის გავლენა განიცადეს. ერთადერთი მიდგომა შეიძლება იყოს ერთნაირი სახის დახმარების გაწევა იმ საოჯახო მეურნეობებისთვის, რომელთაც თვალსაჩინო ფინანსური სირთულეები აქვთ. ამ ფინანსურ სირთულეებს ამწვავებს ქართული ლარის მკვეთრი გაუფასურება, რაც იწვევს მოწყვლადი ფენის სწრაფ მატებას. საუკეთესო პასუხი ამ დროს **შემოსავლით დახმარებაა, რაც** სავარაუდოდ ფულადი გადარიცხვების გაზრდით ან შემოღების გზით სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საშუალებით. გამომდინარე იქიდან, რომ ნავარაუდევია ლარის შემდგომ გაუფასურება, ასეთი სისტემა შეიძლება ინდექსირებული იყოს.

სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილს აქვს გადასახდელი მიმდინარე კომუნალური, სამედიცინო და საკრედიტო ხარჯები. გამომდინარე იქიდან, რომ სოფლის მთლიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი და ბიზნესი ცხოვრობს და მუშაობს საკუთარ საცხოვრებელ ფართებში, ქირავნობის ხარჯები არ არის გასათვალისწინებელი.<sup>27</sup> განსაკუთრებული ვითარების გათვალისწინებით, მინიმუმ COVID-19 გამომდინარე ყველა, მათ შორის შესაძლო დაკრძალვის ხარჯები, უნდა დაფაროს მთავრობამ, რითაც შესაბამისი პრობლემები შემსუბუქდება. რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებს, უმჯობესია გაიზარდოს სოციალური დახმარებები, ამით ასევე მოხდება დაზოგვის სტიმულირება, და არა ამ ხარჯების ანაზღაურება ან, რაც კიდევ უფრო ნაკლებ რეკომენდებული იქნება, მიმწოდებლის სუბსიდირება ტარიფების შემცირების მიზნით.

გასათვალისწინებელია რომ ხანში შესულების დიდი ნაწილი ცხოვრობს სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ მათ უმეტესობას უვლიან ნათესავები, მაინც უფრო ლოგიკური იქნება აღინიშნოს, რომ მათი ახლობლები ხშირად ძალიან შორს არიან. უფრო მეტიც, რადგან ახალგაზრდა და ხანდაზმულები უნდა მოერიდონ კონტაქტს და შესაბამისად, შესაძლოა არ დარჩნენ ერთად, ხანდაზმულებს, რომელთა ოჯახები საკმაოდ შორს ცხოვრობენ, არ შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა და აქედან გამომდინარე, დახმარებას საჭიროებენ.

#### ფორმალური სექტორი

ლეგალური დასაქმების და რეგისტრირებული ბიზნესის მქონე საოჯახო მეურნეობებს, რომლებიც ზარალდებიან მომარაგების შეფერხებით ან მოთხოვნის შემცირებით, შესაძლოა დაეხმარონ სახელფასო სუბსიდიებით, საგადასახადო შეღავათებით, ფულის

<sup>25</sup> იხილეთ მანამდე აღნიშნული IRDG კვლევა..

<sup>26</sup> იხილეთ მანამდე აღნიშნული IRDG კვლევა.

<sup>27</sup> UNDP/IRDG მიერ საქართველოს 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩატარებული შედეგი. 96% სოფლის მოსახლეობის ცხოვრობს მათ საკუთარ არსებულ ფართში (IRDG კვლევა).

გადარიცხვით და სესხებით, რაც დაეხმარება ხალხს დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები, ხოლო ბიზნესები არ გაკოტრდეს.<sup>28</sup>

სამუშაოს ადგილების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა გარდაუვალი იქნება. რაც შეეხება მკვეთრად შემცირებული მოთხოვნის შედეგად დაზარალებულ ბიზნესს, როგორცაა ტურისტული ბიზნესი, ტრანსპორტი და ვაჭრობა, შეიძლება შემოღებულ იქნას **სახელფასო სუბსიდიები** მოკლევადიანი სამუშაო კომპენსაციის სახით (ეგრეთ წოდებული Kurzarbeitergeld). პრაქტიკაში გამოცდილი მიდგომა გამოიყენა გერმანიამ 2008/9 წლების ფინანსური კრიზისის დროს და ეს გამოცდილება გადაღებულ იქნა სხვა მრავალი ქვეყნის, მათ შორის ბრიტანეთის მიერ. ეს ანაზღაურებს თანამშრომლების დაკარგულ ხელფასებს, რომელთა სამუშაო საათების შემცირება მოხდა იძულებით, იმავე არხებით, რომელთა გამოყენება ხდება უმუშევრობის დაზღვევის ასანაზღაურებლად.<sup>29</sup> რეგისტრირებულ თვითდასაქმებულს შეუძლია მიიღოს მსგავსი დახმარებები, მათი წინა შემოსავლის შესაბამისად. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას უკვე არსებული არხები ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

როგორც დაბალი საგადასახადო ტვირთის ქვეყანა, **გადასახადის შემცირების ან გადავადების** გავლენა შეზღუდული იქნება, მაგრამ მაინც პოლიტიკის მნიშვნელოვანი, ეფექტური და შედარებით იაფი ინსტრუმენტია. ამ ინსტრუმენტებს იყენებენ დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 25-ზე მეტი ქვეყანა უკვე იყენებს **ფულად სტიმულირებებს** ეკონომიკური შოკის შემცირების მიზნით.<sup>30</sup> ეს ჩვეულებრივ მიმართულია ძალიან მცირე ფირმებზე და თვითდასაქმებულებზე იმ სექტორებში, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალებულნი ვირუსის გამო. სავალდებულო კრიტერიუმები მოიცავს გაყიდვების დოკუმენტურად დადასტურებულ ვარდნას და რეტროსპექტულ ვადას, რომლის დროსაც საჭიროა რომ ფირმა იყოს ფინანსურად სტაბილური. ნებისმიერი შემდგომი გაუარესება მიიჩნევა, რომ გამოწვეულია ვირუსით.<sup>31</sup>

გასათვალისწინებელია, რომ ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ ფირმებისა და თვითდასაქმებულების მხარდაჭერა, რომელთა ბიზნესიც არის **ჯანსაღი და მდგრადი** და კრიზისის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია აღიდგინოს მდგომარეობა. მაგრამ უნდა მიღებულ იქნას ბევრად უფრო მკაცრი პოლიტიკური გადაწყვეტილება: ბიზნესის მხარდაჭერა შესაძლებელია მხოლოდ მოკლევადიან, სავარაუდოდ, საშუალოვადიან პერიოდში. თუ კრიზისი გაგრძელდება, მაშინ ეს მხარდაჭერა ვერ იქნება მდგრადი<sup>32</sup>. ამ შემთხვევაში, და თუ ბიზნესები არ არიან ძირითადად **ჯანსაღი და მდგრადი**, მხარდაჭერა უნდა გადატანა იქნას სოციალურ ღონისძიებებზე.

### სესხები, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი

<sup>28</sup> <https://blogs.imf.org/2020/03/09/limiting-the-economic-fallout-of-the-coronavirus-with-large-targeted-policies/>

<sup>29</sup> <https://www.theguardian.com/business/2020/mar/17/how-best-to-fight-the-economic-impact-of-the-coronavirus-pandemic>

<sup>30</sup> <https://www.economist.com/briefing/2020/03/19/governments-are-spending-big-to-keep-the-world-economy-from-getting-dangerously-sick?frsc=dg%7Ce>

<sup>31</sup> <https://www.economist.com/briefing/2020/03/19/governments-are-spending-big-to-keep-the-world-economy-from-getting-dangerously-sick?frsc=dg%7Ce>

<sup>32</sup> <https://www.cato.org/publications/commentary/painful-choices-will-have-be-made-longer-goes>. აღსანიშნავია, რომ საიმპერიო კოლეჯის შეფასებით გაერთიანებული სამეფოსთვის, მკაცრი პოლიტიკა უნდა გატარდეს 55%-დან 96%-მდე შემდგომი 18 თვის განმავლობაში.



სასესხო ინსტრუმენტები შეიძლება იყოს ორი სახის: რომლებიც უწყობენ ხელს საოჯახო მეურნეობებსა და ბიზნესებს უკვე არსებული სესხების გადახდაში და ასევე ახალი სესხის აღებაში.

მოახლოებული რთული ფინანსური მდგომარეობა ბევრ ბიზნესს დაარტყამს მძიმედ: ბიზნესის 36%, რომელიც გამოიკითხა „სოფლის გაუმჯობესება საქართველოში“ პროექტის 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში, ჰქონდა სესხი და 40% აგვიანებდა გადახდას. მაშინ როდესაც, ვაჭრობის დარგი, სასტუმროები და რესტორნები უფრო ხშირად იღებდნენ სესხებს ვიდრე სხვა არასასოფლო დარგები, მათ ნაკლებად ჰქონდათ ვადაგადაცილებები. სატრანსპორტო კომპანიები სასესხო ვალდებულებების ყველაზე ცუდი გადამხდელები იყვნენ. რამდენადაც მხოლოდ ჯანსაღ ბიზნესებს უნდა გაეწიოს დახმარება, სავარაუდოა, რომ ტრანსპორტთან დაკავშირებული მრავალი ბიზნესი გახდება გადახდისუუნარო. ჯანსაღი ბიზნესების მხარდაჭერა შეიძლება მოხდეს **სესხის დაფარვის გადავადების ან ნაწილობრივი გრანტებით დაფარვითაც კი**. გაითვალისწინეთ, რომ ბევრი უიმედო სესხის წარმოქმნის შემთხვევები მძიმე ტვირთად დააწვება ბანკებისა და მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების საბალანსო უწყისებს, რაც მოგვიანებით ასევე გახდის საჭიროს მათთაც გაეწიონ დახმარება გაკოტრების თავიდან ასაცილებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვა, მთავრობები დიდწილად ეყრდნობიან **საკრედიტო საგარანტიო ფონდებს გაუთვალისწინებელ ვალდებულებებს**. ეს ნიშნავს, რომ ბანკებს შეუძლიათ გასესხება უფრო თამამად და სახელმწიფო ხარჯები წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლები კოტრდებიან. გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ ქართულ ბანკებს ზოგადად ნაკლებად აინტერესებდათ დღემდე ქალაქების გარდა სესხების გაცემა, შეიძლება საჭირო გახდეს პროპორციულად უფრო მეტი გარანტიის გაცემა. ვინაიდან სესხები, როგორც წესი, გაიცემა სამუშაო კაპიტალის შესავსებად ან მოხმარებისთვის, შესაბამისად უზრუნველყოფის გარეშე, შესაძლოა საჭირო გახდეს საგრანტო ელემენტის დამატება. მსესხებლებს შეიძლება შესთავაზონ პრემიები სესხების დასაფარად ნაადრევად.<sup>33</sup> გასათვალისწინებელია, რომ ასეთი საგარანტიო სქემების ამუშავებას დასჭირდება პერსონალის მნიშვნელოვანი, თუმცა დროებითი ზრდა ბანკებში სესხის ყველა განაცხადის დასამუშავებლად.

პრაქტიკულად, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებისთვის საქართველოში ყველაზე შესაფერისი ღონისძიება, როგორც ჩანს არის სასესხო გარანტია, თუ კრიზისი იქნება მოკლევადიანი ან საშუალოვადიანი. ეს შესაძლოა იყოს ერთადერთი გზა, რომ სოფლის გადახდისუუნარიანი საწარმოები გადარჩნენ. ზემოაღნიშნული შეიძლება კომბინირებული იყოს საგრანტო სქემასთან სოფლის საწარმოებისთვის.

#### ღონისძიებები გრძელვადიანი კრიზისის შემთხვევაში

წარმოდგენილი ზომები, სავარაუდოდ ეფექტურია მოკლევადიანი კრიზისის მოსაგვარებლად. მაგრამ არც ერთ მთავრობას არ ექნება ფინანსური საშუალება, რომ განახორციელოს აღნიშნული ზომები გრძელვადიან პერიოდში. ამიტომ მნიშვნელოვანია დროულად, მოხდეს დახმარება ბიზნესის შემცირების მიმართულებით, რამაც შეიძლება გაზარდოს მათი გადარჩენის შანსი. აქცენტი შემდეგ უნდა გადავიდეს ძირითადად ადამიანების მხარდაჭერაზე, რაც უფრო მნიშვნელოვანია.<sup>34</sup> იმის გამო, რომ სოფლებმა

<sup>33</sup> <https://www.economist.com/leaders/2020/03/19/how-to-prevent-a-covid-19-slump-and-protect-the-recovery?frsc=dg%7Ce>

<sup>34</sup> <https://www.cato.org/publications/commentary/painful-choices-will-have-be-made-longer-goes>

შეიძლება მიიპყრონ ნაკლები ყურადღება, ვიდრე ქალაქებმა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ იმ ადგილებს, რომლებიც განიცდიან კრიზისის დროს საშუალოზე მაღალ ზარალს, კრიზისის დამთავრების შემდეგ, აღდგენისათვის დასჭირდებათ მნიშვნელოვნად ხანგრძლივი დრო. განსაკუთრებით სოფლის ტერიტორიების უფრო მეტი რისკის ქვეშ იქნებიან, რომ ჩამორჩნენ განვითარებას. აქედან გამომდინარე, მხარდაჭერა უნდა იყოს სათანადო დონეზე გარანტირებული.<sup>35</sup>

---

<sup>35</sup> <https://www.brookings.edu/research/three-steps-the-government-needs-to-take-in-a-coronavirus-recession/>